ხელშეკრულება № 03/139
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 26.08.2015წ.

ერთის მხრივ **"საჯარო სამართლის იურიდიული პირი სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი"** შემდგომში – "შემსყიდველი", დირექტორის გურამ ბოკუჩავას სახით და მეორეს მხრივ **შპს "ნოვატორ ტექნოლოგიური სისტემები "** შემდგომში "მიმწოდებელი", მისი დირექტორის ვახტანგ იობაძის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია:

ალუმინის, მაგნიუმის, ქრომის, ტიტანის, ცინკუმის, კუპრუმის, მოლიბდენის და ნიკელის გამფრქვევი ფირფიტების შესყიდვა. (CPV კოდი:14700000)

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2110 (ორი ათას ას ათი) ლარს. დღგ-ს და სხვა თანმდევი ხარჯების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2 კვირის ვადაში.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ.თბილისი მინდელის ქ.№7.

5. ანგარიშსწორების ფორმა

5.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

5.2 შესყიდული საქონლის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით „მიმწოდებლის" მიერ აღებული ვალდებულების სრულად შესრულებისა და ანგარიშფაქტურის, სასაქონლო ზედნადების ან მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ან წინასწარი ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მთლიანი თანხის საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტის ვადა ხელშეკრულების მოქმედების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 30 დღით.

5.4 თუ გარანტიით უზრუნველყოფილი ვალდებულება გარანტიის ვადის ამოწურვამდე შესრულდა, გარანტიის (მათ შორის შესრულებული ვალდებულების ნაწილში) მოქმედების ვადა შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს ან შემცირდეს, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების დადასტურების შემთხვევაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მომწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაადასტუროს შესყიდვის ობიექტის მიღება, მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.
6.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით
6.4 მომწოდებელი ვალდებულია
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებილი შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს ორი თვისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეწკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მახარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.
7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ გადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1% ოდენობით.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 26.08.2015-დან 04.09.2015-მდე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.
9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 არცერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავინთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

11.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ ი. ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი მისამართი: ქ.თბილისი, მინდელის ქ.№7 ს/კ 249250821 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/ა GE24NB0330100200165022 სახაზინო კოდი: 0708687520	შპს“ნოვატორ ტექნოლოგიური სისტემებ მისამართი: ქ. თბილისი ერისთავის ქ №1, ტელ. 599 74 19 30 ს/კ 211402926 სს “თი-ბი-სი ბანკი” კოდი: TBCBGE22 ა/ა GE02TB1100000022467106
დირექტორი: **გურამ ბოკუჩავა**	დირექტორი: **ვახტანგ იობაძე**

TECHNO VATOR

ნოვატორი ტექნოლოგიური სისტემები, შპს
INNOVATOR technology systems, LTD
НОВАТОР технологические системы, ООО

საქართველოს მთავარი იდენტიფიკატორი
General identificator of Georgia 20704418
გადამხდელის სალოგიანობისა ნომერი
Identification number of taxpaier 211402926

თბილისი, პანკისის ქ. 3-2
3-2, Pankisistr., Tbilisi, Georgia

დაპროექტირება, მოდერნიზაცია
ნაწილების აღდგენა, ექსპორტ-იმპორტი
Design, manufacture or restoration of machinery and parts
Export-import
Innovations

გაანგარიშება (INVOISE)

შპს "ნოვატორი-ტექნოლოგიური სისტემები"	გაანგარიშების № 59/15
	წარმომდგენი: ვ. იობაძე
სსიპ "ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი"	თარიღი: 27.08. 2015წ
თბილისი მინდელის ქ. №7	წარმომადგენელი: გ. ბოკუჩავა
	მიწოდების დრო: შეტყობინებით

№	დასახელება	რაოდ.	ერთეულის ფასი	საერთო ფასი (ლარი)	საერთო ფასი დღგ-ით
1.	ალუმინის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	158,17	158,17	186,64
2.	მაგნიუმის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	169,14	169,14	199,58
3.	ქრომის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	365,25	365,25	431
4.	ტიტანის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	183,78	183,78	216,86
5.	თუთიის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	180,78	180,78	213,32
6.	სპილენძის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	185,91	185,91	219,38
7.	მოლიბდენის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	276,86	276,86	326,7
8.	ნიკელის გამფრქვევი ფირფიტა 110*4 მმ	1	268,24	268,24	316,52

შპს "ნოვატორი-ტექნოლოგიური სისტემები"
საიდენტიფიკაციო კოდი 211402926
საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი- 220101850
ა/ა GE02 TB11 0000 0022 4671 06/GEL

3-

საერთო ფასი	ტრანსპორტირების ღირებულება	დღგ	საერთო ღირებულება
1788,13	-	321,87	2110

6, Miloravas str., 380079 Tbilisi, Georgia, TEL/FAX: +995 32 933750

ანგარიში 22467106 (ლარში), თიბისი ბანკი, ბიდ 220101819, სხვ. ანგ. ეროვნული ბანკში 8001461219
Account 73070241 (multy currency), TBC BANK SWIFT: TBCBGE22 Corr. acc. 9499095 (USD, DEM, EUR), DEUTSCHE BANK A.G. SWIFT: DEUTDEFF